სამეურვეო საბჭო
კურსი მშობლებისთვის

P4E
მშობლები
განათლებისთვის

მოდული 1: სამეურვეო საბჭო და მშობლების როლი

სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა აუცილებელია ბავშვის სწორი განვითარებისთვის. მხოლოდ მასწავლებლებისა და მშობლების თანამშრომლობით არის შესაძლებელი ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. საერთო მიზნებისა და ღირებულებების ქონა ეხმარება ბავშვებს უკეთ აღიქვან და განახორციელონ თავიანთი პოტენციალი, რაც საბოლოოდ, საზოგადოების უკეთესი მომავლის გარანტიაა.

შესაბამისად, სკოლის ცხოვრებაში მშობლების როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი შვილების აკადემიური წინსვლის მხარდაჭერით. ისინი სკოლის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და მათი აქტიური ჩართულობით, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, შესაძლებელია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ყველა ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობას. შობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიიც მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს. სამეურვეო საბჭოს წევრობა მშობელს აძლევს საშუალებას, მიიღოს უშუალო მონაწილეობა სკოლის მართვაში, ხოლო ამ ურთიერთობას კანონი არეგულირებს. ქვემოთ განვიხილავთ საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ საკითხებს სამეურვეო საბჭოს შესახებ.

სამეურვეო საბჭო სკოლის სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ის წევრებს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ევალებათ. საბჭოში სამი წლის ვადით აირჩევიან მშობლები და პედაგოგიური საბჭოს წევრები, რომელთა ჯამური რაოდენობაც 6-დან 12-მდეა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მცირეკონტინგენტიან სკოლებს შესაძლებელია ჰქონდეთ წევრთა ნაკლები რაოდენობა. სამეურვეო საბჭოში ასევე შედის ერთი მოსწავლე თვითმმართველობიდან და ერთი დანიშნული პირი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან. ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს ასევე ერთი წევრის დანიშვნის უფლება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა წევრს თანაბარი, 1 ხმა აქვს. სამეურვეო საბჭოს თითოეული წევრი შესაძლებელია არჩეული იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. მშობლებისგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ სკოლაში არსებულ თითოეულ საფეხურს.

სამეურვეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს დირექტორთან მიმართებაში. მოსწავლეებს არ აქვთ უფლება გახდნენ თავმჯდომარეები. რომელიმე საკითხის განხილვისას ხმების გაყოფის შემთხვევაში, შედეგს წყვეტს თავმჯდომარის ხმა. სამეურვეო საბჭო წელიწადში არანაკლებ სამჯერ უნდა შეიკრიბოს.

სამეურვეო საბჭოს მთავარი ფუნქციებია:

- სკოლის დირექტორის არჩევა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სკოლის დირექტორის გათავისუფლება;
- სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- დირექტორის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშის დამტკიცება და გასაჯაროება;
- სკოლის ფინანსებისა და ქონების განკარგვის კონტროლი;
- სკოლის შინაგანაწესის შედგენა;
- საჩივრების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება;
- დისციპლინური კომიტეტის შექმნა;
- პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმისა და სკოლაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების შესახებ თანხმობა;
- მას ასევე შეუძლია დირექტორს მოსთხოვოს ხელშეკრულება შეუწყვიტოს მასწავლებელს, რომელიც არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

გადაწყვეტილებების უმეტესობა მოითხოვს ხმათა უმრავლესობის მიღებას, თუმცა, სკოლის დირექტორისთვის ხელშეკრულების შეწყვეტისას, ხმების არანაკლებ ორი მესამედია საჭირო.

გარდა ზემოთ აღწერილი ოფიციალური უფლებებისა და მოვალეობებისა, მშობლის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში აუმჯობესებს ურთიერთობას და კომუნიკაციას მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. საბჭოს კრებებში მონაწილეობით მშობლები უფრო ახლოს იცნობენ სკოლის საჭიროებებსა და გამოწვევებს, ასევე უკეთ აფასებენ, თუ რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს სასწავლო პროცესი. მეორე მხრივ კი, სამეურვეო საბჭოს წევრ მშობლებს აქვთ მუდმივი მჭიდრო კომუნიკაცია შესაბამისი საფეხურის მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს სკოლის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მათი ინტერესების გათვალისწინებას. ეს ეხმარება სკოლას და მასწავლებლებს, უფრო ეფექტურად და მიზანმიმართულად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, რაც საბოლოო ჯამში, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე და საერთო კეთილდღეობაზე.

კურსი მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მშობელთა ჩართულობა შვილების განათლებაში“ ფარგლებში. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.